ფარული მიყურადება საქართველოში

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო კვლავ ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მყარ გარანტიებს.

2016 წლიდან 2020 წლის პირველი და მეორე კვარტლის ჩათვლით მონაცემებით, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით საქართველოს მასშტაბით სასამართლოების მიერ განხილული შუამდგომლობების რიცხვი ჯამში იყო ***3 467***.

თბილისში შუამდგომლობების მატების ტენდენცია 2016 წლიდან გრძელდება და 2019 წელს უმაღლესი ნიშნული - 669 დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 1.6%-ით აღემატება.

2019 წელს საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით ჯამში ***7 084*** შუამდგომლობა შევიდა.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი მცირედით იკლებს.

თაღლითობასთან დაკავშირებით ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე შუამდგომლობების რაოდენობა 2019 წელს წინა წელთან შედარებით ***50%-ით*** გაიზარდა. შუამდგომლობით მიმართვის რაოდენობა გაიზარდა ასევე განზრახ მკვლელობასა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასთან დაკავშირებით.

2016 წლიდან 2020 წლის 1-ლი და მე-2 კვარტლის ჩათვლით, ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე შემოსული შუამდგომლობების ჯამური მაჩვენებლის 66.2% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, ხოლო დანარჩენი 33.8% გადანაწილებულია სხვა დანარჩენ 23 საქალაქო/რაიონულ სასამართლოზე.

ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები



ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ შუამდგომლობების სტატისტიკა



შვედეთი Sverige

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.